

# ფრთხი

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შაღინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ზარზე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროზба“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., ხანისთვის — 3 მ., ერთისთვის — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

შანი განცხადებისა: ღირსი ერთი ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ციკლოთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეაწილოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დასაბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

გარიიოვის დღესასწაულის გამო შემდგომი ნომერი „დროებისა“ გამოვა პარასკევს. 17 აგვისტოს.

მეც მცხოვრებთ ხმის უფლება აქვს.

ზამთრის წევრი: ივ. მესხი. (3—3)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბალის (საღრვის) ქუჩაზე ბ. შაღინოვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дროзба“.

შანი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე, გაგზავნილი — ხუთი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტრბურლი, 12 აგვისტოს. „პრავეტელსტვენნი მესტნიკი“ აცნობებს, რომ დიდი მთავარი სერგი და პავლე ალექსანდრეს ძენი გუშინ ავიდნენ მოსკოვში.

მენა, 11 აგვისტოს. შრაფის ანდრეასის მოადგილეთ ასახელებენ ჩეხისარისტოკრატს ძლამ მარტანიცს, რომელიც თავადი ბისმარკის დიდი მტერია.

ცეცინი, 11 აგვისტოს. მთავარი ნიკოლოზი მიიწვიეს ვენაში, სადაც ის უნდა წავიდეს და მიიღოს მონაწილეობა შერცოვინის შესახებ მოლაპარაკებაზე.

სტამბოლი, 11 აგვისტოს. სულთანმა ბრძანა რედიფის 80 ბათალიონის დათ-

## განცხადება

მუთაისის ძალაქის გაფორმება, შეუდგა რა-მომავალის ქრისტიანობის თვეში ძალაქის სამართავლოს ამოღობა და სივრცის შედგენას, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალს დეინობისთვის პირველ რიგში ვამდინ, იქნეს შემოტანილი მცხოვრებთაგან ქალაქის სასარგებლოთ ხვედრი გარდასახადი, ყოველი გვარი გარდასახადისა, ვიდრე 1880 წლამდე, რადგან 1964 სტ. II ტ. ნაწ. I გამოც. 1876 წ. ძალით, სხვათა შორის, გარდასახადის გარდ უხე ევენ ელობაც ართ-

## ფელტონი

ქართული ტრუპის შესახებ.

დიდის ყურადღებით; დიდის ინტერესებით ვადევნებდი თვალს ქართულ წარმოდგენებს. სასიამოვნო იყო ჩემთვის საზოგადოების მხრით იმნაირი თანაგრძნობა, რომელსაც ის უჩნდა ქართულ ტრუპას. მხედველი და ეხლაც ვხედავ, რომ საზოგადოებაც საჭიროებს ქართულს თეატრში, რომ ეს საჭიროება უნდა უსათუოდ დაკმაყოფილდეს, — და აი ამ საზოგადოების მოახლოვნილობამ კიდევ გამოიწვია რამოდენიმე მოთამაშე სცენაზე, რომელნიც სექტემბრიდან სამუდამო ტრუპას შეადგენენ.

მე მინდა მოთამაშე პირზე შემდეგის ტრუპისა წარმოვსთქვა რამოდენიმე აზრი; იქნება სასარგებლო იქნეს და გთხოვ, უ. რედაქტორო ამ ჩემს შენიშვნებს მისცეთ ადგილი თქვენს პატივ-ცემულ გაზეთში.

ჩემზე ქართულის ტრუპის წარმოდგენებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს. „ანსაბლს“ რომ იტყვიან, ერთობა, არ არ არის მათ წამოდგენებში. ურეკისობობა, თეატრის და სცენის უცოდინარობა მომეტებულ შესაძინევით დაინახე და ნურას უკაცრავათ, თუ ვე-

რაფერი კარგი აზრის ვიქნები თვითონ მოთამაშეებზე. ამათში ნიჭი არის და ნამდვილი ნიჭიც, მაგრამ ვერცერთ მათგანს ვერ მოუხერხებია სცენაზე თავისი ნიჭის მოხმარება. მე რომ ვატყობ, ჩვენს აქტიორებს ჰგონიათ, რომ უბრალო საქმისათვის მოუცილიათ ხელი, ისე გულ-გრილათ ეკიდებიან თავიანთ წარმოდგენებს. — მაგ. მე ვერ ვიტყვი რომელიმე მათი წარმოდგენა კარგათ წასულიყოს; ყველას ან მომეტებულს მაგანს როლები არ სცოდნიათ ერთი ვერ ახერხებს სცენაზე დაჯდომას და აჯდომას, მეორე ვაგლას, ერთს არავითარი მანერები არა აქვს, მეორეს მანერები მქვს, მაგრამ უხერო, მოუხერხებელი. სცენაზე ეს ნაკლებივანება ძალიან დიდ ნაკლებივანებათ ჩაითვლება. მართს მათგანს ხმის აწევა და დაწევა არ შეუძლია, ე. ი. სულ ერთს დონზე ლაპარაკობს; მეორე ხმას რომ აწევს, ჰყვირი გამოდის, მესამე ბლავის დასხვროგორც აქტიორის, რომელსაც ხეირიანათ ვერ შეუ წავლია თვითონ სცენა, თეატრი, არ იცის თავისი ხმის ძალა, ვერ ხმარობს მას, არა აქვს მანერები და ხანის გამომეც ყველგა ნიადავ ერთი და იგივე აქვს. მე იმას აქტიორს ვერ დაუძახებ, თუ თქვენი ნება იქნება... შევლა ზემო მოყვანილი ნაკლებივანები შემომჩნევია მე და ამისათვის ძა-

ლიან მივირს გაზეთებში და საყოველთაოდ ამათი ქება.


ახლა გავარჩიოთ სათითაოდ: უ. პ. შიფიანი — ნიჭიერი აქტიორია, მოხუცებულების როლებს მშვენივრად თამაშობს, განსაკუთრებით ხელოვნურათ წარმოდგინა ბიქოს როლი „პეპოში“. სხვა პიესებში ნაკლებ არდგენს. ამ აქტიორს ყველაზე უფრო ეტყობა როლების უცოდინარობა. მს საძაგელი თვისებაა ამ აქტიორისა. მს შეუტარცყოფაა მყურებელის და მე მგონია მყურებლებმა უნდა უშუტეონ იმ აქტიორს, რომელმაც როლი არ იცის და გააგღონ სცენიდან. ჩემის აზრით ამაზე მეტს დაწაშაულობას ვერ იქმს ატიორი სცენაზე. ამაზედ, ურჩევ უ. შიფიანს, კარგათ დაფიქრდეს. მე იმისთვის ფულს ვინდი და მოვიღვარ თეატრში, რომ დაეკმაყოფილდე სულიერათ, სულ სხვა ცხოვრებამ გამოტაცოს და არა მისთვის, რომ პირდაღებულ კაცს შევატყვრდე სცენაზე. უ. შიფიანს სხვებზე უფრო მანერებიც აქვს.

მ. საფაროვის ქალი — ნიჭია, მაგრამ ერთ-გვარი, თუ იმისთანა როლები არ მისცეს, სადაც გაბუტვაა, თავის მოკატუნება, პრანჭიობა, სხვა როლებს კარგათ ვერ თამაშობს. მართის სიტყვით ნამდვილი ვოდეილის აქტიორისა და სულ ვოდეილებს ხომ ვერ თამაშებს ტრუპას; ქართული ტრუ-









ქართული

\* ამ დღეებში ერთი ახალი ქართული წიგნიც გამოცხვია ობილისში. ამას ჰქვია „ბანჯკვლიანი ფუტკრის ამბავი“ და არის რუსულიდან ნათარგმნი პლ. აბაზაძისაგან. ღირს სამი შაური.

ჯერ არ წაგვიკითხავს ეს წიგნი და არ ვიცით, რომელი ხარისხის ქართველებისთვის (სწავლით) არის გამოცემული.

\* ჩვენ გვწერენ შოთაძემ:

„მს რამდენიმე ხანია ჩვენს შოთაში ნელ-ნელა მოგვეჩვივნენ ქურდები, ჯერ პირუტყვისა და ფრინველის ქურდობა დაიწყეს, ახლა დუქნებსა და სახლებსაც სტეხენ! ამ რამდენიმე ხნის წინათ გასტეხეს სკლადი, ყარაულმა გაუგო და ქურდები გაიქცნენ, ვერა წაიღესრა! შემდეგ გასტეხეს პ. ხითაროვის სახლი, დოკუმენტები მოჰპარეს, ფული ეგონათ, და მეორეს დღეს ისევ მიუყარეს პატრონს; ამ ორი კვირის წინათ დამოქნის გენერალს ჩილადელჭინის ქუჩის ფანჯრიდან ეწვივნენ ქურდები და საკვათაჟი მოჰპარეს, შიგ იყო 3400 მანეთი ფული და რაღაც დოკუმენტები; ცარიელი საქვათაჟი მეორეს დღეს პარკში იპოვნეს. ამ თვის ათს, ღამით ნ. პაპოვს ეწვივნენ ქურდები და რადგანაც პაპოვი შინ არ იყო, მთელი კასა წაიღეს ტყეში და დიდს რკინის კეტით დაუწყეს ტეხა კასას ექვსმა კაცმა; ამ დროს ერთი ესადნიკების ცხენების ყარაულ თავის დაქირავულ ცხენების ეძებდა რამოდენიმე კაცი და რომ შეესმათ კასის ტეხის ხმა ტყუილა თოფები გაისროლეს, რომლის

ხმაზედაც ქურდებმა კასა მიატოვეს და ტყეში დაიმაღლნენ; ამასობაში პაპოვმაც გაიგო კასის დაკარგვა და პოლიციის შემწეობით მიავნო ქურდებისგან დატოვებულ კასას. ამდროს კიდევ უსროლნიათ თოფები, ქურდებს შეშინებიათ და იქიდან მოუხსენებიათ: „აქ გახლავართო!“ სამნი გაქცეულან და სამნი კი დაუჭერიათ. მსენი არიან მხერხავი რაჭველები; მეოთხეც არის მეფაიტონე, გურული. მასა მოიტანეს პოლიციაში და ნახეს, რომ შიგ 1300 მანეთი, ფული ნივთები და სხვა და სხვა დოკუმენტები ჰყოფილა.

როგორც ეტყობა ჩილადელჭინის და პაპოვის სტუმრები ერთი საზოგადოებიდან უნდა იყვნენ. იმედია გამამძიებელი რიგიანათ მოჰკიდებს აქათ ხელსა, და იქნება ჩილადელჭინის ფულიც აღმოჩნდეს როგორმე!“

K.

1879 აგვისტოს 11-ს. შოთა.

„დროშის“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 12 აგვისტოს. ამ უკანასკნელ დროს სიღნაღში დიდი სიძვირე არის ფქვილისა, რადგანც პურის მცირედი მოსავალი იყო. ამ გარემოებაში სიღნაღისა და მისი მაზრის მცხოვრებნი მაინც კიდევ დიდ მეცადინეობაში არიან მაზრის უფროსის შემწეობით: შკოლები ემატება და ბანკები ინსნებიან სიღნაღის

როლებს, უბრალო მოსამსახურებს და სხვა ამ გვარებს. მტყობა ნიჭი აქვს. ბამოსადექი აქტიორს რომ იტყვიან, ის არის.

შ. მახაბელზე შორს არის სცენიკური ნიჭი. მერც ერთ როლში ვერ დაეკმაყოფილდი მისი თამაშით, მომეტებულ ცუდათ არდგენს პეპოს როლს-მოჰყვება ყვირილს და ჰყვირის, ასე გო: ნია, თუ იყვირა და ყველას გააგონა თავის გულისთქმა, კარგათ თამაშობსო! ასე უგრძობდებოდა, ხესავით გაშტერებულიად მე არაფინ მინახამს.

მაგრამ რაც უნდა იყოს მაგისტანა პირებიც საჭიროა ტრუპისათვის, ყველა ხომ ნიჭიერები არ იქნებიან და ყველა როლებიც არ თხოულობს მაინც-დამაინც კარგ ნიჭიერ მოთამაშეს.

შ. ცაგარელი კარგათ თამაშობს გლებ-კაცების როლებს, სხვა როლებში არ მინახამს. და თუ სხვა როლები ვერ ითამაშა კარგათ, მაშინ ეს პირი ბევრათ არ იქნება საჭირო ტრუპისათვის;— ჩვენში ბევრი მოიძებნება ცაგარელზე უფრო ნიჭიერათ აღმასრულებელი გლებების როლებისა.

შ. პ. მესხზე ვერას ვიტყვი, რადგან ის მარტო ერთს ვოდევინებ ვნახე და ძალიან მომეწონა თავისი თამაშით. ჩემთვის საჭიროა რამოდენჯერმე ვნახო, რომ დავაფასო ამ აქტიორის ნიჭი.

ბ. პორინთელი ქალი სცენაზე არ გამოისვლება.

ამ ეს არის ჩვენი ტრუპის არტისტები. ცალ-ცალკე რომ გავარჩიეთ, ბევრათ ნაკლებევენება არ გამოვიდა; მაგრამ როდესაც ყველას ერთად შეგვკრებთ, მაშინ მომეტებულიც აქვსთ.

თავდაპირველად საჭიროა რეჟისორი და იმისთანა, რომელმაც ყველა ამ არტისტებზე უკეთ იცოდეს—რა არის თეატრი, სცენა და სცენაზე თამაში. შეეძლოს გააგებინოს თხზულება, რომლის წარმოდგენასაც ემზადებიან.

წარმოდგინეთ, ჩვენი აქტიორები არდგენენ, თამაშობენ და არ იციან—რას თამაშობენ, პიესას არ იცნობენ, ან ვერ გაუგიათ მისი შინაარსი. რასაკვირველია, ამისთანა გონება-გაუხსნელობა ბევრს აენებს ჩვენს თეატრის საქმეს, თუ გონიერი და თეატრის მცოდნე კაცი არ იქნა რეჟისორათ. ყველას სჭირია მანერების შესწავლა, მიხერამოხერის, თავისი ხმის თავისუფლად მოხმარება და სულ ამ გვარი პირველადწყებითი კანონები სცენიკური ხელოვნებისა.

ხალხი, საზოგადოება ძალიან თანაუგრძობს ამ საქმეს და თუ არ მოეშალეს ასე ყმაწვილური უზრუნველობა თავის მოვალეობის აღსრულებისა ჩვენმა არტისტებმა, მაშინ გამოეთხოვონ საზოგადოების თანაგრძობასაც. მოთამა-

გარშემო სოფლებში, ბევრი შესანიშნავი ანბანია ჩვენში, მაგრამ ზოგიერთს ჩვენგანს, ვისაც კი სურვილი აქვს რაიმე აცნობოს რედაქციას, თვალი მარტო პოლიციაზედ უჭირავს და ღრიალებს: „სიღნაღში ქურდებს ფაქიზათ არ ინახევენო, ოღრო-ოღრო არისო და არ ასწორებენო, ბევრნი პარნი საზოგადოს მაზნევანი არიანო და იმათზედ ყურადღება არა აქვსთო, მაზრის უფროსს ცუდი ჩინოვნიკები ახვევიანო და სხვა მაგრამ ის კი ავიწყდებათ, თითონ ვინა ბრძანდებიან?“

პბა ერთი იფიქრონ, ამ ოღრო-ოღრო სიღნაღს, რომელიც საქობაში აპირებს ჩაბრძანებას, რა გაასწორებს? მუხები როგორ შეინახონ ფაქიზათ, მაშინ როდესაც აქაურ მცხოვრები, გარდა ძროხისა და ცხენებისა, ათასობით დიდ-ყურა მხეცები ჰყავთ? აქაურობა სავსე არის ურმებითა, რომელნიც ბალახით, შემით, ფიხით და თივით წინ და უკან დადიან და აფუჭებენ ქურდებს? რა დონის ძიება უნდა იყოს, რომ იმათი ნაშალი ყოველ დღეს გააწმენდინოს? ამოტელი წყარო აქვს ამ საწყალ ქალაქს?

რატომ არა სწერენ იმ პირებზედ, რომელნიც უშლიან სიღნაღლებს საქალაქო ბანკის განხნას და უქადაგებენ: „ბანკი თქვენთვის სასარგებლო არ არისო, ვექსილებს და თამასუქებს უსენიდი-სოიანც გამცარცველიანცის ფორმაზედ ველარ დასწერთო, გლებებს ხელი სტაცეთო, ეს არის თქვენი ბანკიო?“

რატომ არა სწერენ იმ ხუცესზედა, რომელმაც სახარება უკუაგდო, დაითერა,


შეებს უნდა იმის გაგება, რომ ის საქმე, რომლისთვისაც მათ ხელი მოუკიდნიათ, ასე ადვილი და პატარა არ არის; ყოველი საზოგადო საქმე ბევრს ვალდებულებას ადებს კაცს, უმეტეს ყველასა თეატრის საქმე. საზოგადო საქმეში საჭიროა ყველაზე უფრო სინიღისი და ცდა და თუ ამასთან ნიჭიც მოსდევს კაცს, ძალიან კარგია;—აი ნიჭი არის ჩვენს ტრუპაში და თუ ამასთან სინიღისიანად ეცდებიან თავის მოვალეობის უკეთ აღსრულებას, ვინემ აქამდის ასრულებდნენ, მაშინ საზოგადოების თანაგრძობას საზღვარი აღარ ექნება; წინააღმდეგ შემთხვევაში მათვის სანატრელი იქნება, რომ ეს ტრუპა სულაც არ დაწესდეს, რადგან თეატრის საქმეს ესენი მარტო ვენებას მოუტანენ.

უკანასკნელი შენიშვნა: მოთამაშეების რიცხვი ძალიან ცოტაა, ცოტათი დიდი პიესის წარმოდგენას ვერ მოახერხებენ. ჩემის აზრით, საჭიროა კიდევ ორი აქტიორისა და სამი აქტიორი.

მართული თეატრის მოყვარული.

თბილისი, 9 აგვისტოს.





ილო სარდლობა ღვინო ნასვამ გლეხ-  
ზედ და დაამარცხა, ყოველის უმიზეზოთ  
მომრიგებელ მოსამართლის მზვარეული?  
რატომ არ სწერენ იმ ახმან პირზედა,  
რომელმაც ამ ცოტას ხანში წითელ  
ნუნუას უსუნა, არაყს თავი დაუკრა, შინ  
ვერ მოინელა, გამოვიდა მეიდანზედ და  
უშვერის სიტყვებით დაუწყო ღანძლეა  
სუდის, პოლიციის და თავის უფროსს,  
(იმ დროს ესენი იქ არ იყვნენ)? შათამი  
დაეკარგეო და რატომ არ მიპოვიანო.  
რატომ არა სწერენ იმ პირზედ, რო-  
მელიც პრისტავს უჯავრდება ჩემს ბზვა-  
რეულს ხელი არ აწლოვო, ნება აქვსო,  
რონ ყველას სცემოსო?  
რატომ არა სწერენ იმ პირზედა, რო-  
მელმაც თავის ნათესავი შინ დაიმეგობ-  
რა, საწყალ გასათხოვარ ნათესავ ქალ-  
ზედ თავისი მხეცური ზნე დასრულა და  
ჯვარი აღარ დაიწერა? შინ შეინახავს ეს-  
ლა იმ ბავშვსა, რომელიც იმას ეყოლა?  
მანა აქ მოხსენებულნი პირნი მდაბალი  
ხალხი არიან?

ბოლოს, კორრესპონდენტს, რომელ-  
მაც დასწერა დეპუტატებზედ, ესენი რა-  
ლათ დაევიწყდა და მარტო პოლიცია  
აგონდება? ღიდათ სამწუხაროა, რომ  
მაზრის უფროსი ცოცხს არ მოუქნევს  
ამ ამოსაგველიძენს! მაგრამ კოკა ყო-  
ველთვის წყალს არ მოიტანს, ერთხელ  
გატყდება! მოვიცდით იქამდინ!

მთი ვინმე მოლოდინელი.

# უსხო ქვეყნები

## საზრანგეთი

„Nord“-ს აცნობებენ მენენილამ (საფ-  
რანგეთის ქალაქის ბალუენის ნაწილია,  
ბელგიის სამხლდარზედ) არეულობზედ.

რომელიც მოუხდენიათა იქაურმუშებს,  
მიზეზი ამ არეულობისა, როგორც გვაც-  
ნობებენ უცხო ქვეყნის გაზეტები, ყო-  
ფილა შემდეგი: ქალაქ ბალუენში მცხოვ-  
რები ბელგიელი მოვაჭრები ამ უკა-  
ნასკნელ დროს არა ჰყიდდნენ თურმე  
კართოფილს იქაურს მუშებზედ იმ მი-  
ზეზით, რომ ვითომ ის მუშები იმათგან  
ნაყიდს კართოფილს უფრო ძვირათა  
ჰყიდდნენ. როცა ამაზედ მუშებს შეუ-  
ხივლიათ მოვაჭრებისთვის უკანასკნე-  
ლებს უთქვამთ, რომ იმათ (მუშებს)  
შეუძლიანთ ბალანისა და სხვა რამეების  
ქამაო.

ამ გვარის პა უხისაგან გაჯავრებული  
3,000 მეტი მუშა ხშირად თურმე უწე-  
სოებას ახდენდნენ, მაგრამ პოლიციის  
წყალობით საქმე მშვიდობიანად ჩაივ-  
ლიდა. უკანასკნელ დროს მენენის პო-  
ლიციის კომისარს აცნობეს, რომ მუ-  
შებისაგან დიდს არეულობას მოველოთ  
და ღონისძიება რამ იხმარეო. ამაზედ  
კომისარმა აცნობა მენენის ქანდარმის  
ბრიგადირს, რომელმაც გაგზავნა ორი  
ქვეითი ქანდარმი მოვაჭრეების მისაშვე-  
ლებლად, ვინცობაა, მენენის ფერმებ-  
ში ნაყიდი კართოფილით ვაჭრების ჩა-  
მოვლასზედ მუშების უწესოება რამ მოც-  
დინათ. მომავლ მოვაჭრეებს 4,000 მე-  
ტი მუშა დაუხვდათ: ქანდარმა შეატყო-  
ბინა ბრიგადირს, რომ შიში დიდი არის,  
ჯარები გამოგზავნეთო. ჯარები მოიყ-  
ვანეს და რადგ ნაც მაშინაც თავისი არ  
დაიშალეს გჯარებულმა მუშებმა, ბრი-  
გადირმა, მუშების შესაშინებლად, უბრ-  
ძანა ესროლნათ თოფები ჰაერში, რომ-  
მელზედაც მუშები პასუხს აძლევდნენ  
აგურებით და ქვებით; ერთი ქანდარმი  
ქვისაგან დაზარალები დაეცა, მაგრამ გა-  
დარჩა; მოკლეს ერთი მუშა და ერთი  
დაჭრეს, რომელიც მეორე დღეს მოკვდა.  
მეორე დღე, დილით მოწოდებულ ი-  
ყვნენ ჯარები, რომლებმაც დაამშვიდეს  
გაბრაზებული მუშები. ამ არეულობის

თაობაზედ სასტიკი გამოძიება მოახდი-  
ნეს.

# ბანსხალბანი

„ივერიის“ რედაქცია აცხადებს, რო-  
ვისაც სურს ნახევარი წლის ჟურნალ-  
მიიღოს იკლისილამ, შეუძლია დაიბა-  
როს შემდეგის პირობით:

თფილისში მცხოვრებლებს 5 მ. 50 კ.  
ბარეშე მცხოვრებლებს — 6 მ. 50 კ.  
მისაც 1 ნომრილამ უნდა მიიღოს  
მთელი წლის ნომრები, ამ პირობით  
დაიბაროს:

თფილისში მცხოვრებლებს 11 მ.  
ბარეშე მცხოვრებლებს — 12 მ.

აღრესი: თფილისი, სოლოლაკი, ძონ-  
სულის ქუჩა № 4 და ჩარკვიანის წიგ-  
ნის მაღაზია.

(3-3)

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები შიში-  
სა და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯ-  
რებისა და იატაკებისათვის. სრულებით  
მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერ-  
ხული.

მისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს  
შუძლიან მიმართოს არსენალის ქუჩაზე-  
შუდინოვის სახლებში № 31; იკითხოს  
უფ. მალერიაჩ ჩეჩუტი

(3-3)

რპ. მზა.	ლით.	სალმ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ	მანანდა	მან კაპ	თფილისის სამაშრალო.
თფილისი	921	518	8	კაპ. მ. კაპ.	მცხეთის სიტყვა თფილისიდან	მან	თფილისი 9 აგვისტ.	მან	მრევ. მ. ივ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	1011	627	-	85 - 44	მავკასის აქეთა მხრის ყვლა	—	მკვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	240	ავთომოფებს მიიღებენ ყოველ
ბორი	1158	943	3	153	ქალაქებში	50	მკვ. წითელი	170	დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ხაშური	129	1157	4	73 242	როსტოვს, მდებსა. მ კოვს,	2	მკვ. ფუთი	140	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. წისიცივი და
სურამი	144		4	90 261	პეტერბურგს, მარშავ	2	ბაბა პრენისა, ფუთი.	820	ბარალევიჩი—შინაგ.ავთომოფობის.
ჭვრელი	549		7	21 369	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— პერიკისა, ფუთს	950	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. წისიცივი და
ჩოჩხი	657		8	44 431	იტალიაში და საფრანგეთში	3	ბანტლი ბაბა ფუთი.	1070	ბაბოვი—გულისა და შინაგ. ავთ-
სამტრედია	751		9	66 493	ინგლისში.	3	მკული თუშური ფუთი.	840	მყოფ.; რეიხი—თვალის, შურავ-
ახალ-სენაკი	843		10	71 547	ვოხბა	3	— თრაქამისა ფუთი	380	დღევი—კანისა და ვენერიულის,
ვითი	950		12	24 626	ა) თფილისიდან: სამხლდარზედ	3	აბრეშუმ ნუხური სტ.	210	ბაბოვი—გულისა და შინაგ. ავთ-
შოთი	9	3			რეთ, შუთისს, რუსეთს—ოველ		ქონი ფუთი	560	ნაგ, ბაბავეი—ნერვების.
ახალ-სენაკი	1014			153 - 78	დღე კვირას გარდა. შუგდ. ო. შ. და		ქონის სანთელი ფუთი.	680	ხუთ შ. ა. ბ. ა. თ. ს. წისიცივი—ში-
სამტრედია	115			261 133	ხუთშ. მ. შურ. — პარასკ. და ორ შ. ა.		სტეპარინის სანთელი ფ.	12	ნაგ. ავთომოფ. და შურავლევი—კანის
ჩოჩხი	1213			384 197	ხეთს—სამშ. და შ. ა. ბ. ა. თ. ს. წისიცივი		— ცნებისა, ლიტრა		და ვენერიულის.
ჭვრელი	118	ლამე.	5	3 256	სილამ: თფილისისა და ვითისა—		სპირტი ვედრო	450	პარასკევის კენებთან: წისი-
სურამი	512		110	734 374	ყოველ დღე კვირას გარდა. მ. შურ-		შაქარი ბოტ. ფუთ	75	ცივი, ბაბოვი, ბაბავეი და ბახტოვი.
ხაშური	539		137	751 384	გეთს—ორ შ. და პარასკ.		— ფენილი ფუთი	560	შ. ა. ბ. ა. თ. ს. წისიცივი, რეიხი და
ბორი	75		4	89 24 473	წიგნის გაგზავნა რ. შურით	კაპ	შავი რგვალი გრვ.	60	მრბეჭტი — კბილის ექიმი და
მცხეთა	850		6	59 11 39 582	ლა წიგნის	3	ხუთი ქუნჯუთისა ფუთი,	1360	ბაბავეი მიიღებენ შინ, ღარიბებს
თფილისი	931		7	56 12 24 626	დაბეჭდვის (სამი მ. ს. ს.)	7	თამბაქო საშუალო ფთ.	670	მუქთად.